



№ 1გ/273-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

27 თებერვალი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ ს. გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდოძის 2017 წლის 17 თებერვლის წინასასამართლო სხდომის საოქმო განჩინებაზე, ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ჩ.-ს და გ. მ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

2017 წლის 07 თებერვალს, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა ს. ზ.-ს ასული გ.-ს (დაბ.: XXXX წლის XX აპრილს) ბრალდების სისხლის სამართლის N009130916003 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2017 წლის 13 თებერვალს და 17 თებერვალს.

2017 წლის 17 თებერვლის წინასასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლემ, განიხილა ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც საოქმო განჩინებით, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნაწილი ცნო დაუშვებლად. კერძოდ, სასამართლომ დაუშვებლად ცნო: 1. დაცვის მხარის განცხადება თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორს ((29.12.2016) პუნქტი 2); 2. შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამმართველოს) უფროსის წერილი #XXXXXXXXX დაცვის მხარეს ((03.01.2017 (პუნქტი 3); 3. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ((06.01.2017) პუნქტი 4); 4. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ((09.01.2017) პუნქტი 5); 5. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულების სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ((11.01.2017) პუნქტი 6); 6. ს. გ.-ს განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს, ამავე სააგენტოს კანცელარიის მიღების ბარათთან ერთად ((11.01.2017) პუნქტი 7); 7. დაცვის მხარის განცხადება საქართველოს საგარეო



საქმეთა სამინისტროს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 8); 8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს NXXX/XXXX წერილი დაცვის მხარეს (17.01.2017) პუნქტი 9); 9. დაცვის მხარის განცხადება საქართველოს ეროვნული ბანკს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 10); 10. საქართველოს ეროვნული ბანკის წერილი N2-14/242-17 დაცვის მხარეს ((17.01.2017) პუნქტი 11); 11. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. რ.“-ს, ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 12); 12. სს „ბ. რ.“-ს NXXX/XXX წერილი დაცვის მხარეს ((18.01.2017) პუნქტი 13); 13. დაცვის მხარის განცხადება სს „ლ. ბ. ს.“, ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 14), 14. სს „ლ. ბ.“-ს NXXXXX-XXXX/XXXX წერილი დაცვის მხარეს, წერილის დანართი სამ ფურცლად ((25.01.2017) პუნქტი 15); 15. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. ქ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 16); 16. სს „ბ. ქ.“-ს NXX/XXX წერილი დაცვის მხარეს ((20.01.2017) პუნქტი 17); 17. დაცვის მხარის განცხადება სს „პ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 18); 18. სს „პ. ბ.“-ს NXXXXXX წერილი დაცვის მხარეს ((23.01.2017) პუნქტი 19); 19. დაცვის მხარის განცხადება სს „ს. რ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 20); 20. სს „ს. რ. ბ.“-ს NXXXXXX წერილი დაცვის მხარეს ((20.01.2017) პუნქტი 21); 21. დაცვის მხარის განცხადება სს „ა. ს. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 22); 22. სს „ა. ს. ბ.-ს“-ს NXXXXXX წერილი დაცვის მხარეს ((27.01.2017) პუნქტი 23); 23. დაცვის მხარის განცხადება სს „ფ. ბ. ს.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 24); 24. სს „ფ. ბ. ს.“-ს NXXXXXX წერილი დაცვის მხარეს ((16.01.2017) პუნქტი 25); 25. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. ბ. ს.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 26); 26. სს „ბ. ბ. ს.“-ს N05/042 წერილი დაცვის მხარეს ((25.01.2017) პუნქტი 27); 27. დაცვის მხარის განცხადება სს „ტ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 28); 28. სს „ტ. ბ.-ს“ NXX-XXX წერილი დაცვის მხარეს ((30.01.2017) პუნქტი 29); 29. დაცვის მხარის განცხადება სს „პ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 30); 30. სს „პ. ბ.“-ს NXXX წერილი დაცვის მხარეს ((27.01.2017) პუნქტი 31); 31. დაცვის მხარის განცხადება სს „ვ. ბ. ქ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 32); 32. სს „ვ. ბ. ქ.“-ს NXX-X/XXXXXX წერილი დაცვის მხარეს დანართით სამ ფურცლად ((01.02.2017) პუნქტი 33); 33. დაცვის მხარის განცხადება სს „ი. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 34); 34. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 35), 35. დაცვის მხარის განცხადება სს „თ. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 36); 36. დაცვის მხარის განცხადება სს „ს. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 37).

ადგილზე თათბირით მიღებულ საოქმო განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ 2017 წლის 09 იანვრის, 13 იანვრის და 03 თებერვლის შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის შესახებ ოქმებით ირკვევა, რომ ხსენებულ თარიღებში დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა ბრალდების მხარეს და მოითხოვა მოპოვებული მტკიცებულებების გადაცემა, რაც ბრალდების მხარის მიერ დაკმაყოფილდა, რომელიც დასტურდება ამავე ოქმებით ირკვევა, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარისაგან დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთანავე მოითხოვა ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა დაცვის მხარე. დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს ინფორმაცია და შესაძლო მტკიცებულებების ასლები გადასცა მხოლოდ 2017 წლის 07 თებერვალს. სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე და 78-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე



აპირებს დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს. 2017 წლის 09 იანვარს, 13 იანვარს და 03 თებერვალს, მას შემდეგ რაც ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა მტკიცებულებათა გადაცემის შესახებ, ამ უკანასკნელს ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად წარმოეშვა უფლება მოეთხოვა დაცვის მხარისგან ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც სასამართლოში აპირებდა. ხსენებული უფლებით ისარგებლა რა ბრალდების მხარემ მოსთხოვა დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული ხსენებული ინფორმაციის გადაცემა. როგორც დასტურდება მოთხოვნილი ინფორმაცია ბრალდების მხარეს გადაეცა 2017 წლის 07 თებერვალს, ანუ ბოლო მოთხოვნიდან მე-4 დღეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ დარღვეული იქნა ზემოხსენებული ნორმის მოთხოვნები, მაშინ როდესაც არ შეასრულა კანონის აღნიშნული დანაწესი. როგორც 2017 წლის 13 იანვრის ოქმით ირკვევა ადვოკატმა მ. ჩ.-მ ხსენებულ დოკუმენტს ხელი მოაწერა 13 იანვარს 19:15 საათზე, ამასთან დაცვის მხარეს არაერთი მასალა აქვს მოპოვებული ამავე დღეს. სასამართლოს მხედველობაში აქვს განცხადებები, გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო გზავნილებთან ერთად, რომელიც თარიღდება 2017 წლის 13 იანვრით და მითითებულია გაგზავნის დრო. ყველა მითითებულ შემთხვევაში გზავნილები გაგზავნილია 2017 წლის 13 იანვრის 19:15 საათამდე, რაც იმას ადასტურებს, რომ ბრალდების მხარის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მომენტისთვის დაცვის მხარეს ეს მასალები უკვე გააჩნდა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასევე დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი დაცვის მხარის მიერ ზემოხსენებული განცხადებების საფუძველზე მოპოვებული მასალაც, რამეთუ განცხადებები არ იქნა დაშვებული მტკიცებულებად და შესაბამისად მის საფუძველზე მოპოვებული მასალების წარმომავლობის დადასტურება იყო შეუძლებელი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია.

აღნიშნული განჩინება, დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. ჩ.-მ და გ. მ.-მ, რომლებიც ითხოვენ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ნუსხის მიხედვით დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დასაშვებად ცნობას.

საჩივარში მითითებულია, რომ სასამართლომ ბრალდების მხარის 2017 წლის 09 იანვრისა და 13 იანვრის მტკიცებულებათა გაცვლის ოქმებში „შენიღბულად“ ასახული ბრალდების მხარის მოთხოვნა განმარტა, როგორც რეალური მოთხოვნა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკანონმდებლო დათქმა. 2017 წლის 09 იანვრისა და 13 იანვრის მტკიცებულების გადმოცემის შესახებ შედგა ოქმი „შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის თაობაზე“. მოცემული ოქმის დანიშნულებაა - შესაძლო მტკიცებულებათა გადაცემის თაობაზე ინფორმაციის დასტური, ხოლო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ დაცვის მხარის მიმართ იქნა მოთხოვნა წარდგენილი მტკიცებულებათა გადაცემაზე, გამომიძიებელს ვერბალურად არ უცნობებია (არც პროკურორის განუცხადებია აღნიშნულის შესახებ თავის შუამდგომლობაში, უფრო მეტიც არ ჰქონდა ამაზე საუბარი) დაცვის მხარისათვის. საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს მტკიცებულებათა გადმოცემის შესახებ მოთხოვნას და მტკიცებულებების გაცვლის თაობაზე ოქმს. იდეალურ შემთხვევაში „მოთხოვნა“ და „ოქმი“ უნდა შედგეს ცალ-ცალკე, რადგან დოკუმენტების შინაარსი აღქმადი იყოს მხარეებისათვის. თუმცა საგამონაკლისო შემთხვევაში, თუ ოქმში გაკეთდა მოთხოვნის შესახებ ჩანაწერი, აღნიშნულის თაობაზე ვერბალურად ანუ აღქმადად (ან ნებისმიერი სხვა გასაგები ფორმით) უნდა განემარტოს მხარეს, რადგან



გამართლებულად არსებობდეს მოლოდინი მეორე მხარისაგან პასუხის მიღების შესახებ. ბრალდების მხარის მიერ აპელირებული ოქმებითაც უდაოა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარისათვის მტკიცებულებათა გადაცემის შესახებ დაცვის მხარეს უარი არ უთქვამს. მოთხოვნა არ უნდა იყოს მხოლოდ ნორმის ფორმალურობის დაცვა, არამედ უნდა ატარებდეს იმ შინაარსს, რომ ბრალდების მხარეს დაცვის მხარის მტკიცებულებები ნამდვილად და არსებითად აინტერესებს. თუმცა თუ ოქმში ამგვარი მოთხოვნის არსებობას დავუშვებთ, მაშინ წარმოიშობა ვალდებულება აღნიშვნის დონეზე მაინც დაფიქსირდეს ამ მოთხოვნის შესახებ მეორე მხარის პოზიცია. ასეთ შემთხვევაში დუმილით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სამართალურთიერთობის განხორციელებას არ იცნობს. ის გარემოება, რომ მტკიცებულებათა გადაცემის თაობაზე დაცვის მხარე სრულ მზაობას გამოხატავდა, ამის დასტურია ბრალდების მხარისათვის მტკიცებულების გადაცემა და ხუთ დღიანი ვადის დაცვა წინასასამართლო სხდომამდე. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარემ შუამდგომლობაში არ მიუთითა თუნდაც ერთი კონკრეტული მტკიცებულება, რომლის იმ მომენტისთვის გადაცემის შემთხვევაშიც ის მიიღებდა სხვაგვარ საპროცესო გადაწყვეტილებას, არ დაუსაბუთებია თუ რა ზიანი მიადგა ამით გამოძიებას. მხოლოდ აბსტრაქტული განაცხადი, რომ დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, არ უნდა იქნას გაზიარებული სასამართლოს მიერ (იხ.: საჩივარი).

საქმის მასალების გაანალიზების შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასებისა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ამ შემთხვევაში არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი, შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და წინასასამართლო სხდომის ოქმი, მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. აღნიშნული პრინციპები ასევე რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამასთან, მითითებული ნორმები არის ზოგადი ხასიათის, რაც განამტკიცებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, ხოლო კონკრეტული სამართლებრივი საკითხი უნდა გადაწყდეს იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.

განსახილველ ვითარებაში, კონკრეტულ შემთხვევას აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი, რომელიც ადგენს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესს, რა დროსაც უნდა შეფასდეს მტკიცებულებების მეორე მხარისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის კანონიერების საკითხი. აღნიშნული ნორმა ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და მხარეთა შეჯიბრებითობას, თანასწორობას. ამასთან, გარდა იმისა, რომ ნორმა განსაზღვრავს ინფორმაციის გაცვლის წესს, ცალსახად ადგენს აღნიშნული ნორმის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცვლის პროცედურებს და ვადებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი ადგენს მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ორ წესს - (1) ინფორმაციის გაცვლას „მოთხოვნის რეჟიმში“ და (2) ინფორმაციის გაცვლას



„სავალდებულო წესით“. ეს უკანასკნელი, მკაცრად არის რეგლამენტირებული და სავალდებულოა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.

რაც შეეხება ინფორმაციის გაცვლას ე.წ. „მოთხოვნის რეჟიმში“, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინფორმაციის მოთხოვნა და გაცვლა დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ მომთხოვნი, ანუ სუბიექტი შეიძლება იყოს უპირველესად მხოლოდ დაცვის მხარე. ბრალდების მხარეს მოთხოვნის უფლება, რომ მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს უჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა დაცვის მხარის ზემოხსენებული მოთხოვნა. ამდენად, თუ დაცვის მხარე არ დააყენებს ინფორმაციის გაცნობის შესახებ მოთხოვნას, ბრალდების მხარეს ვერ ექნება წინასასამართლო სხდომამდე დაცვის მხარისაგან ინფორმაციის მიღების უფლება, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. ამასთან, დაცვის მხარის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდების მხარე არ არის შეზღუდული დროში და იგი უფლებამოსილი ხდება ინფორმაცია დაცვის მხარისაგან მოითხოვოს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთანავე ან მას შემდეგ თავისი შეხედულებისამებრ, რამეთუ მხარეები შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე თავად იღებენ თავიანთი პოზიციისა და სტრატეგიის შესახებ გადაწყვეტილებას.

მითითებული ნორმა ცალსახად განსაზღვრავს, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. „დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების“ განმარტებას პროცესი არ ითვალისწინებს და იმისათვის, თუ რა ჩაითვლება „დაუყოვნებლად“ არ არის დადგენილი კონკრეტული ვადა, მაგრამ საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით „დაყოვნება“ შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ იმ დროით, რაც ინფორმაციის გადაცემისთვის ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად არის აუცილებელი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი, განსხვავებით პირველი ნაწილისაგან, რაც დაცვის უფლებას უკავშირდება, ბრალდების მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის თაობაზე არ უთითებს ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემაზე, თუმცა ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაში ვადა უნდა იყოს გონივრული და ინფორმაციის იმწუთიერად გადაუცემლობა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ობიექტურად საჭირო ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელი დროის ფარგლებში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გადასაცემი ინფორმაციისა და საქმის მასალების მოცულობას, მოთხოვნის დაყენების დროს, მაგ: როდესაც მოთხოვნა სამუშაო დღის დასასრულსაა დაყენებული ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომდევნო სამუშაო დღეს და სხვა.

ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მნიშვნელობა არ აქვს გააჩნია თუ არა ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა, ანუ მიმართვის წერილები თუ საპროცესო დოკუმენტები, რომლებიც ცალსახად არაა მტკიცებულება, აგრეთვე მოიაზრება იმ ინფორმაციაში, რომელიც მხარეებისთვის ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნის მომენტში მათ ხელთაა და აღნიშნული ყველა შემთხვევაში ექვემდებარება მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მეორე მხარისათვის გადაცემას.

ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კანონიერი მოთხოვნის მომენტისთვის არსებული მასალის, ინფორმაციის მხარისათვის სრული მოცულობით (არასრულად) ან საერთოდ გადაუცემლობის ფაქტს და რა მოცულობითაა ეს ინფორმაცია დაუშვებელი. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ „მოთხოვნის მომენტისათვის არსებულ მასალაში“ მოიაზრება „სრული ინფორმაცია“, რაც წარმოადგენს ყველა იმ მტკიცებულებას თუ ინფორმაციას (დოკუმენტს,) რომელიც მხარეებს მოთხოვნის მომენტში ხელთ აქვთ და რომლის წარდგენასაც აპირებს სასამართლოში. შესაბამისად, გადაუცემელი



ინფორმაცია, რომელიც ხელთ გააჩნდა მხარეს, ანუ ე.წ. „დამალული მტკიცებულება“ ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

ამავდროულად, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ასეთი ინფორმაციის დაუშვებლად ცნობა ავტომატურად არ იწვევს სხვა მტკიცებულებების, რომლებიც მოპოვებული იქნა თუნდაც ამ ინფორმაციის (მიმართვის წერილების) საფუძველზე მიღებული პასუხების შედეგად, დაუშვებლად ცნობას. საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით, აღნიშნულზე ვერ გავრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის დანაწესი „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპი, რომ რადგან პირველადი მტკიცებულება დაუშვებლად იქნა მიჩნეული, მის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციაც დაუშვებელია, ვინაიდან ამ ნორმით რეგულირდება მტკიცებულების დაუშვებლობა მოპოვების ხერხის უკანონობის საფუძველზე, ხოლო განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს არა პირველადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებას, არამედ ინფორმაციის გაცვლის წესის (ვადის) დარღვევას და ასეთ ვითარებაში თუ მოთხოვნის დაყენების მომენტში მხარეს ხელთ (მოპოვებული აქვს) ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი და დანარჩენი მტკიცებულებების რეალურად მოპოვება მოხდა შემდეგ პერიოდში, დაუშვებელია ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ობიექტურად ხელმისაწვდომი იყო და არსებობდა მოთხოვნის მომენტში.

რაც შეეხება, სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებას, რომლის თანახმადაც დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია და აღნიშნულიდან გამომდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ ვინაიდან დაცვის ზემოაღნიშნული განცხადებები არ იქნა დაშვებული მტკიცებულებად, შესაბამისად მის საფუძველზე მოპოვებული მასალების წარმომავლობის დადასტურება შეუძლებელია და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი, აღნიშნულს, საგამოძიებო კოლეგია არ იზიარებს და ყურადღებას მიაქცევს მტკიცებულებების მოპოვების კანონიერებაზე, აგრეთვე მიღებული მასალის შინაარსსა და ფორმაზე, რომლის თანახმადაც საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით ხსენებული დოკუმენტების ავთენტიკურობის დადგენა სრულიად შესაძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგია მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილზე, რომლის თანახმადაც, დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას (რაც ვერ იქნება მხოლოდ დაცვის მხარის მიმართვის წერილები) და მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის ნორმატიულ შინაარსზე, რომლის თანახმადაც დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება, როდესაც ცნობილია მისი წარმომავლობა და ავთენტიკურია. მით უფრო, რომ დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, რომ ცნობილი იყოს მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შედგენი პირი, მასში ასახული ინფორმაციისა და მისი გაცემის საფუძველი და სხვა გარემოებები, რომელიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე, ხოლო ავთენტიკურობა გულისხმობს დოკუმენტის ნამდვილობას, ანუ გამორიცხვას ეჭვს იმის თაობაზე, რომ ის არის სახეცვლილი, მოდიფიცირებული, მასზე აღბეჭდილი ინფორმაცია ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს და სხვა. მართალია, ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს ხელმოწერის ნამდვილობა ან დოკუმენტის ტექსტი, თუმცა ოფიციალური დოკუმენტის ავთენტიკურობა შეიძლება დადგინდეს თუ მითითებულია მისი გამცემი ორგანოს/პირის შესახებ რეკვიზიტები, სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა, ამასთან შესრულებულია ორგანიზაციის ბლანკზე ან დამოწმებულია შესაბამისი ბეჭდით/შტამპით და სხვა.

ამდენად, საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ კონკრეტულ საქმეში, სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილი მიმართვის წერილები, რომლის საფუძველზედაც შემდგომში დაცვის მხარის მიერ მოპოვებული იქნა მტკიცებულებები, არის ამ მტკიცებულებათა წარმომავლობისა და ავთენტიკურობის დადგენის ერთერთი, მაგრამ არა ერთადერთი წყარო (ინფორმაცია). ამასთან, საგამოძიებო კოლეგია თვლის, რომ საქმეში არსებული მონაცემები ამ ეტაპზე, ხსენებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში აკმაყოფილებს „აღბათობის მაღალი ხარისხით“ წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს, ხოლო ის თუ რამდენად არის ეს მტკიცებულებები „გონივრულ ეჭვს მიღმა“ შეფასების შედეგად



გასაზიარებელი ან არგასაზიარებელი, აღნიშნული, საქმის არსებითად განხილვისას შესაფასებელი სახელმძღვანელო სტანდარტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარისათვის ინფორმაციის კანონიერი მოთხოვნის მომენტში, დაცვის მხარის ხელთ არსებული ინფორმაციის გარდა, რეალურად მას შემდეგ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში.

რაც შეეხება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ მტკიცებულებათა გაცვლის ოქმებში „შენიღბულად“ იყო ასახული ბრალდების მხარის მოთხოვნა ინფორმაციის გადაცემაზე და მოთხოვნის თაობაზე ვერბალურად ანუ აღქმად (ან ნებისმიერი სხვა გასაგები ფორმით) უნდა ყოფილიყო განმარტება მხარისათვის გაკეთებული, აღნიშნულზე საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ პროცესუალური თვალსაზრისით მიზანშეწონილია, როგორც ინფორმაციის გადაცემა ასევე შემდეგ მის საფუძველზე ინფორმაციის მოთხოვნაც ცალ-ცალკე შესაბამისი აქტებით იქნას დადასტურებული, რაც გამორიცხავს აღნიშნულთან დაკავშირებით არსებულ ყოველგვარ რისკებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა ბრალდების მხარეს არ უზღუდავს უფლებას, რომ ინფორმაციის შესახებ მოთხოვნა იმავდროულად დააფიქსიროს მტკიცებულებების გაცვლის თუ მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის ოქმში. ხოლო, ის, რომ მოთხოვნა უნდა იყოს რეალურად აღქმადი, აღნიშნული სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდანაც გამომდინარეობს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის ან ზოგადად ბრალდებულის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლება ნამდვილად იქნებოდა დარღვეული თუკი ბრალდებული არ იქნებოდა უზრუნველყოფილი დაცვით და მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას მიეღო ჯეროვანი სამართლებრივი კონსულტაცია. მოცემულ საქმეში კი ბრალდებული წარმოდგენილია კვალიფიციური ადვოკატებით და სწორედ დაცვის მხარის მიერ იქნა ხელმოწერილი და დადასტურებული, როგორც მოთხოვნილი მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე, იმავდროულად ბრალდების მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნაც. შესაბამისად, დაცვის მხარეს გააჩნდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჯეროვნად გაცნობოდა იმ დოკუმენტს, რომელსაც ამოწმებდა თავისი ხელისმოწერით და გამოეტანა შესაბამისი დასკვნები მისი შინაარსიდან. ამ გარემოების ფონზე კი მითითება ბრალდების მხარის მოთხოვნის უფრო მეტ „აღქმადობაზე“ უსაფუძვლოა.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და ის მტკიცებულებები, რომლებიც დაცვის მხარის მიერ შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის 2017 წლის 13 იანვრის გაცვლის იქმის შემდეგ არის მოპოვებული, დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ საგამოძიებო კოლეგია ხსენებულ დასკვნამდე მივიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინასასამართლო სხდომის ოქმის, საოქმო განჩინების აუდიო ვერსიის მოსმენის შედეგად გადმოცემული დასაბუთებისა და არგუმენტების, აღქმისა და გაანალიზების გზით. თუმცა, ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, თუკი წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება წერილობითი სახით იქნება წარმოდგენილი ან/და თუნდაც მოკლედ მაინც აისახება სხდომის ოქმში (რომელსაც ხელს აწერს მოსამართლე და სხდომის მდივანი), გაცილებით სრულყოფილი შესაძლებლობა ექნება სასამართლოს, გასაჩივრებულ განჩინებაში მოაზრებული არგუმენტების უფრო კარგად აღქმადობის თვალსაზრისით, უფრო არგუმენტირებულად იმსჯელოს და შეაფასოს იმ ფაქტობრივი გარემოებების და იურიდიული ნორმების ანალიზი, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება.



ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ს. გ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. რ.-ს და გ. მ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ს. გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდომის 2017 წლის 17 თებერვლის წინასასამართლო სხდომის საოქმო განჩინება გაუქმდეს ნაწილობრივ - დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების ნაწილში და დაცვის მხარის მტკიცებულებები სრული მოცულობით იქნას დაშვებული, როგორც მტკიცებულებები საქმის არსებით განხილვაზე, გარდა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი შემდეგი ინფორმაციისა: 1. დაცვის მხარის განცხადება თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორს ((29.12.2016) პუნქტი 2); 2. შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამმართველოს) უფროსის წერილი #XXXXXXX დაცვის მხარეს ((03.01.2017 (პუნქტი 3); 3. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ((06.01.2017) პუნქტი 4); 4. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ((09.01.2017) პუნქტი 5); 5. დაცვის მხარის განცხადება სასჯელაღსრულების სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ((11.01.2017) პუნქტი 6); 6. ს. გ.-ს განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ამავე სააგენტოს კანცელარიის მიღების ბარათთან ერთად ((11.01.2017) პუნქტი 7); 7. დაცვის მხარის განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 8); 8. დაცვის მხარის განცხადება საქართველოს ეროვნულ ბანკს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 10); 9. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. რ.“-ს, ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 12); 10. დაცვის მხარის განცხადება სს „ლ. ბ.“-ს, ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 14), 11. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. ქ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 16); 12. დაცვის მხარის განცხადება სს „პ. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 18); 13. დაცვის მხარის განცხადება სს „ს. რ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 20); 14. დაცვის მხარის განცხადება სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 22); 15. დაცვის მხარის განცხადება სს „ფ. ბ. ს.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 24); 16. დაცვის მხარის განცხადება სს „ხ. ბ. ს.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 26); 17. დაცვის მხარის განცხადება სს „ტ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 28); 18. დაცვის მხარის განცხადება სს „პ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 30); 19. დაცვის მხარის განცხადება სს „ვ. ბ. ჯ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 32); 20. დაცვის მხარის განცხადება სს „ი. ბ.“-ს ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 34); 21. დაცვის მხარის განცხადება სს „ბ. ბ.-ს“ ადრესატისათვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო



დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 35), 22. დაცვის მხარის განცხადება სს „თ. ბ.-ს“ ადრესატისთვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 36); 23. დაცვის მხარის განცხადება სს „ს. ბ.-ს“ ადრესატისთვის გაგზავნის დამადასტურებელ საფოსტო დოკუმენტთან ერთად ((13.01.2017) პუნქტი 37).

3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე